

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმი №31

კასპი

2016 წლის 2 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე- მანუჩარ მერებაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ილია ზაქარიაძე

საკრებულოს ბიუროს წევრები- შ. ბეგლარაშვილი, ი. ქამხაძე, ზ. ჩიტიშვილი, ზ. ჩადუნელი, ხ. თათანაშვილი, ნ. მიდელაშვილი, ა. ბიძინაშვილი, ო. ჭეიშვილი;

სხდომაზე მოწვეული დამსწრე პირები-რ. მაზმიშვილი-გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, თ. ხორბალაძე- გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. „კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით „კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოისმინეს ზ. ჩიტიშვილის მოხსენება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

მომხრე- 10 ხმა

წინააღმდეგი- არავინ

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ მოისმინეს ზ. ჩიტიშვილის მოხსენება.

ი. კიტრიაშვილი დაინტერესდა, როგორ მოხდება თანხის გადახდა?

ზ. ჩიტიშვილმა უპასუხა, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა მოგვმართა ურთიერთშორის სესხისა და ქონების გადმოცემის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. სესხის თანხა შეადგენს 176 499.00 ევროს, რომელის ანაზღაურებაც მოხდება გადახდის დღეს ეროვნულ ბანკის მიერ დაფიქსირებული ლარის მიმართ ევროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. სესხის ხანგრძლივობა შეადგენს 10 (ათი) წელს, რომლის დაფარვაც დაიწყება 2019 წლის 28 ოქტომბრიდან.

ა. ბიძინაშვილი დაინტერესდა, რომელ სოფლებზეა კონკრეტულად გათვლილი ნარჩენების კონტეინერების განაწილება? ზ. კოპაძემ უპასუხა, რომ ნარჩენების კონტეინერები დაიდგმევა ყველა სოფლის ცენტრებში, სადაც გადის ცენტრალური მაგისტრალი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

მომხრე- 10 ხმა

წინააღმდეგი- არავინ

ამით საკრებულოს ბიუროს სხდომამ დაასრულა მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარე

მანუჩარ მერებაშვილი: